ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01241522932**
თარიღი: **31/05/2024**

ადრესატი: შპს კერა ქონსთრაქშენ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400298316
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ზედაზენის ქ , N 2 კორპუსი 1, კომერციული ფართი, N 1გ

თქვენი 25.04.2024წ. N10/01241161231-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის N31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად მუნიციპალურ ინსპექციაში წარმოდგენილია ქ. თბილისში, ქუჩა ც. დადიანი , N 263 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 263; ქალაქი თბილისი , ქუჩა ზედაზენი, N4 კორპუსის მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N 01.12.11.037.115) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (D ბლოკი) მიმდინარე მშენებლობის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 01.04.2022წ. N5877710 ბრძანებით განსაზღვრული I-VI ეტაპების დასრულების შესახებ შედგენილი საეტაპო ოქმები.

ასევე დამატებით გაცნობებთ, რომ შპს ,,მშენ-ექსპერტ+“-ს (აკრედიტებული ინსპექტირების ორგანო) მიერ 24.04.2024 წელს შედგენილ ინსპექტირების NFT-280/03/24-1280/1 ანგარიშში დაფიქსირებულია მშენებლობის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 01.04.2022წ. N5877710 ბრძანებით განსაზღვრული მშენებლობის ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების დარღვევები. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალური ინსპექციაში მიმდინარეობს შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობის შესწავლა.

რაც შეეხება VII ეტაპს, შპს ,,მშენ-ექსპერტ+“-ს (აკრედიტებული ინსპექტირების ორგანო) მიერ 24.04.2024 წელს შედგენილ ინსპექტირების NFT-280/03/24-1280/1 ანგარიშში დაფიქსირებულია, რომ 01.04.2022წ. N5877710 ბრძანებით განსაზღვრული მშენებლობის VII ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულებულია ნაწილობრივ. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალური ინსპექციაში VII ეტაპის - ,,შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა; ნიშნულები - 0,00 მ; 6,60 მ; 13.20 მ; 19.80 მ; 26.40 მ; 31.40 მ; ‘‘ - საეტაპო ოქმი წარმოდგენილი უნდა იქნას სამუშაოების სრულად დასრულების შემდგომ.

ზაზა კვიციანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი